<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“
საქართველოს ორგანულ კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 76) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონის 30 მუხლის 7[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„7[1]. პარტია, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში რომლის შედეგების საფუძველზედაც მიიღო დაფინანსება, კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ით.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. იგი იურიდიულ ძალას შეინარჩუნებს მორიგი/რიგგარეშე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგების გამოცხადების დღემდე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**